



WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #52 აპრილი, 2016

გამოშვებაში წაიკითხავთ

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ პირველი ეროვნული კიბეროლიმპიადა - „კიბერ კუბი 2016“ ჩატარდა

- 1 პირველი ეროვნული კიბეროლიმპიადა - „კიბერ კუბი 2016“
- 2 დია მონაცემების გამოყენებით ახალი მობილური აპლიკაციები იქმნება
- 3 საჯარო რეესტრი უსაფრთხოების ინოვაციური სისტემის - „ბლოკჩეინის“ გამოყენებას იწყებს
- 4 მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) უპირატესობებს მეჯვრისხვევისა და გამოსახალგაზრდობა გაეცნო
- 5 საქართველოში ბიზნესსაქმიანობის ინტერნეტით რეგისტრაციის პროცედურა კიდევ უფრო მარტივდება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის CERT.GOV.GE-სა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებით სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ პირველი ეროვნული კიბეროლიმპიადა - „კიბერ

კუბი 2016“ ჩატარდა. კიბეროლიმპიადის მიზნად ისახავდა კიბერუსაფრთხოების სფეროს განვითარების ხელშეწყობასა და პუპულარიზაციას, ასევე იმ ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენასა და წახალისებას, რომლებიც ფლობენ შესაბამის ტექნიკურ ცოდნასა და კომპეტენციას.

50 გუნდად დაყოფილი 25 წლამდე ასაკის 150 ახალგაზრდა სხვადასხვა სირთულის კიბერინციდენტების გამოსავლენად და მათ აღმოსაფხვრელად მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა, მიღებული შედეგების საფუძველზე კი 3 გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა.

„კიბეროლიმპიადის ჩატარების იდეამ საერთო მიზნის გარშემო გაგვეერთიანა - ხელი შევეწყოთ ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი თაობის სპეციალისტების მომზადებას კიბერშეტევების კრიზისული სიტუაციებისთვის, რაც გაზრდის ქვეყნისა და, შესაბამისად, მოქალაქეების დაცულობის დონეს ამ მიმართულებით“, - აცხადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე, ირაკლი გვენეტაძე (გაგრძელება გვ. 2).

 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge

 იუსტიციის სახლი
www.house.gov.ge

 my.gov.ge
www.my.gov.ge

 www.sda.gov.ge

 www.napr.gov.ge

 www.archives.gov.ge

 www.nbe.gov.ge

 www.notary.ge

 www.matsne.gov.ge

 www.eAuction.ge

 www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) ოლიმპიადის მონაწილეებმა სხვადასხვა კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოს შედეგად გააანალიზეს და გამოიკვლიეს 5 განსხვავებულ კიბერინციდენტი და უპასუხებეს 50 შეკითხვას (თითოეული შემთხვევის ირგვლივ სხვადასხვა სირთულისა და წონის 10 შეკითხვა), მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით კი დაჯამდა საბოლოო სტატისტიკა.

„ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. კიბეროლიმპიადის მეშვეობით სტუდენტებს მიეცემა შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორცაა კიბერუსაფრთხოება. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მქონე სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, ურთიერთმეჯიბრის პირობებში წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გაიღრმავონ გამოცდილება“, - დასძენს **ირაკლი გვენეტაძე**.

ეროვნულ კიბეროლიმპიადაში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადების მიღება 9 მარტიდან 6 აპრილამდე მიმდინარეობდა. ღონისძიების დანიშნულების უკეთ გაცნობის მიზნით, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებთან შედგა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა, ასევე სოციალური ქსელში მუშაობდა სპეციალურად შექმნილი გვერდი და ონლაინ კონსულტაციის არხი.

ღონისძიების პარტნიორები: „ინტელი“ (Intel), „მაიკროსოფტი“ (Microsoft), „იუ ჯი თი“ (UGT), „ორიენტ ლოჯიკი“, „აი ეს ეს კი“ (ISSP), „კავკასუს ონლაინ“, „IT აკადემია საქართველო - STEP“, „მაკაფი“ (McAfee).



კიბეროლიმპიადა - "კიბერ კუბი 2016"



კიბეროლიმპიადა - "კიბერ კუბი 2016"

ღია მონაცემების გამოყენებით ახალი მობილური აპლიკაციები იქმნება

ღია მონაცემების პორტალზე (data.gov.ge), რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ არის შემუშავებული, საჯარო დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებული ღია მონაცემების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და აღნიშნული მონაცემების საფუძველზე უკვე იქმნება სხვადასხვა მობილური აპლიკაცია (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ პროგრამისტებმა პორტალზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით ახალი მობილური აპლიკაცია შექმნეს. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ვებგვერდ Data.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ღია მონაცემის - ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ჩამონათვალის საფუძველზე შეიქმნა შესაბამისი მობილური აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს, კონკრეტული ადგილსამყოფელის გათვალისწინებით, საქართველოს მასშტაბით განთავსებული სავალუტო ჯიხურების შესახებ აწვდის ინფორმაციას. აღნიშნული აპლიკაციის გამოყენება „ანდროიდის“ ოპერაციულ სისტემაზე მომუშავე ნებისმიერ მობილურ მოწყობილობაზე შესაძლებელი (იხ. გადმოსაწერი ბმული: <https://play.google.com/store/apps/details?id=ge.gov.dea.currencyexchangemap&hl=en>).

„ი.წ. „სმარტფონების“ პოპულარობა სწრაფი ტემპით იზრდება. ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ არსებულ ტენდენციას და მომხმარებლებს შევთავაზოთ ისეთი მომსახურება, რომლის გამოყენებაც უშუალოდ მობილური მოწყობილობების მეშვეობით არის შესაძლებელი. ეს არის სერვისის მიწოდების თანამედროვე, კომფორტული და მოსახერხებელი გზა. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული აპლიკაციების შესაქმნელად ჩვენ ვიყენებთ ღია მონაცემებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში აღნიშნული ტიპის ინფორმაციაზე დაყრდნობით სხვადასხვა აპლიკაციის შექმნის წახალისებას“, - ირაკლი გვენეტაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

ღია მონაცემების პორტალი, რომელიც „ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივის“ ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად შეიქმნა, წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომლის მიზანია ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამ მონაცემების გამოყენებით ახალი ელექტრონული სერვისების შექმნის ხელშეწყობა.

ღია მონაცემების კონცეფციას განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც ღია მმართველობაში, ისე ელექტრონული მთავრობის თანამედროვე მოდელებში. ღია მონაცემების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენს ღია მონაცემების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების ღია მონაცემების გამოქვეყნებას გამოთვლად და ადვილად გამოსაყენებელ ფორმატებში, რაც მოქალაქეებს, ბიზნესს, მასმედიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული მონაცემებით, ასევე მათი გამოყენებით შექმნილი სხვადასხვა აპლიკაციითა და ელექტრონული სერვისით.

საჯარო რეესტრი უსაფრთხოების ინოვაციური სისტემის - „ბლოკჩეინის“ გამოყენებას იწყებს



იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უძრავი ქონების ბლოკჩეინ სისტემით რეგისტრაციის საპილოტე პროექტის განხორციელება დაიწყო. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის კომპანიის BitFury Group-ის ტექნიკური სპეციალისტები საქართველოში აპრილში ჩამოვიდნენ და საჯარო რეესტრის წარმომადგენლებთან ერთად პროექტის ჩარჩოსა და პირველი ეტაპის ფორმირებაზე იმსჯელებს.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელიც უძრავი ქონების რეგისტრაციისთვის მსოფლიოს შესაბამის მემორანდუმს საჯარო რეესტრსა და BitFury Group-ს შორის ხელი უკვე მოეწერა.

უახლეს და უსაფრთხო ბლოკჩეინ სისტემას გამოიყენებს.

პროექტის განხორციელების შედეგად, საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი უახლესი ტექნოლოგიით იქნება დაცული, რაც პროცესის უსაფრთხოებას, გამჭვირვალობასა და სანდოობას უზრუნველყოფს. ამავდროულად, ქონების ყიდვა-გაყიდვა კიდევ უფრო მოქნილი გახდება, ქვეყანაში კი ეკონომიკური განვითარების ახალი პოტენციალი გაჩნდება.

BitFury Group-ის დაინტერესება და პარტნიორობის სურვილი საჯარო რეესტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებულმა ინფრასტრუქტურამ და „Doing Business“-ში ქვეყნის წამყვანმა პოზიციამ განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ელექტრონული ვალუტა „ბიტკოინი“ სწორედ ბლოკჩეინ სისტემას იყენებს. მისი ყველა ტრანზაქციის გამჭვირვალობას, დაცულობასა და მოქნილობას ბლოკჩეინ ტექნოლოგია უზრუნველყოფს.

მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) უპირატესობებს მეჯვრისხევისა და გომის საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი ახალგაზრდობა გაეცნო



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ქვეყნის მასშტაბით განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ელექტრონული მმართველობის პრინციპების, ელექტრონული სერვისების უპირატესობებისა და მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) გამოყენების შესახებ გაცნობითი შეხვედრების ციკლს აგრძელებს.

მორიგი შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე საზოგადოებრივ ცენტრებში გაიმართა. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივ ახალგაზრდობას დეტალურად გააცნეს მოქალაქის პორტალის (www.my.gov.ge) გამოყენების

ინსტრუქცია, ისაუბრეს მის უპირატესობებზე და წარმოადგინეს ყველა ის მნიშვნელოვანი ელექტრონული მომსახურება, რომელთა მიღებაც მოქალაქეებს დისტანციურად, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის მეშვეობით შეუძლიათ.

მოქალაქის პორტალით სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ახალი პირადობის მოწმობა, ისე მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მიღებაც ერთჯერადი პროცედურის გავლით იუსტიციის სახლებშია შესაძლებელი, უახლოეს მომავალში კი სახელისა და პაროლის დარეგისტრირება საზოგადოებრივ ცენტრებშიც გახდება ხელმისაწვდომი.

მოქალაქის პორტალზე მომხმარებელი რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით იღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელების გადახდა. მომხმარებელს, მაგალითად, შეუძლია სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად შეიცვალოს მისამართი, განაახლოს ქონების ამონაწერი, ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ან დაარეგისტრიროს კომპანია და წამოიწყოს ბიზნესი. ყველა მომსახურება შესაბამისი კატეგორიების მიხედვითაა დალაგებული, რაც ამარტივებს სასურველის არჩევას. მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს მისთვის საჭირო ყველა ის მომსახურება, რომელსაც ხშირად იყენებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს პირად გვერდზე. დღეისათვის პორტალზე ხელმისაწვდომია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება.

„მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას ელექტრონული მმართველობის, ელექტრონული სერვისებისა და მათი გამოყენების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. ჩვენი მიზანია, რომ ელექტრონული მმართველობა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაც არის მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის ელექტრონულად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განვითარდეს. აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში მოქალაქის პორტალის მეშვეობით რეგიონების მოსახლეობას კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისების ელექტრონულად მიღების შესაძლებლობაც მიეცემა. ელექტრონული სერვისების გაცნობასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების ძირითადი პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება, რათა მოქალაქემ მაქსიმალურად დაიცვას თავი მოსალოდნელი კიბერუსაფრთხოებისგან. ეს საკითხი მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამა თუ იმ სერვისის მოხმარებას ეხება“, - ირაკლი გვენეტაძე,

საქართველოში ბიზნესსაქმიანობის ინტერნეტით რეგისტრაციის პროცედურა კიდევ უფრო გამარტივდება



იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ელექტრონული წესდებების სერვისის შექმნასთან დაკავშირებით მუშაობს. ეს ახალი შეთავაზება მომხმარებელს საშუალებას მისცემს საჯარო რეესტრში მისვლის გარეშე, ინტერნეტის მეშვეობით განახორციელოს სასურველი სამართლებრივი ფორმით ბიზნესის რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენა.

ელექტრონული წესდების მოდელური ფორმები, რომლებიც საჯარო რეესტრის მიერ შემუშავდა და

ბიზნესსუბიექტის რეგისტრაციისთვის სავალდებულო ყველა მონაცემს შეიცავს, შესაბამის ინსტრუქციასთან ერთად ინტერნეტით იქნება ხელმისაწვდომი.

ბიზნესის რეგისტრაციის მსურველს საშუალება ექნება, პროგრამაში ID ბარათის დახმარებით დარეგისტრირდეს, იდენტიფიკაციის შემდეგ სასურველი სერვისი შეარჩიოს, წესდების მოდელური ფორმა შეავსოს, მოთხოვნა ელექტრონული ხელმოწერით დაადასტუროს და ის მარეგისტრირებელ ორგანოში ელექტრონულად, განცხადების რეგისტრაციით გაგზავნოს.

ყველა ველს თანდართული ექნება შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც მომხმარებელს დეტალურად განუმარტავს, თუ რომელ ველში რა ინფორმაცია უნდა განთავსდეს.

მოდელური სარეგისტრაციო განაცხადი/წესდება სრულად დააკმაყოფილებს კანონმდებლობით რეგისტრაციისთვის დადგენილ მოთხოვნებს. სერვისი მინიმუმადე შეამცირებს შესაძლო ხარვეზების რისკს, ბიზნესის რეგისტრაციით დაინტერესებული პირებისთვის კი მომსახურებას კიდევ უფრო მეტად ეფექტიანსა და ხელმისაწვდომს გახდის.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ელექტრონული ფუნქციონალის პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური მხარის დამუშავების პროცესი. მათ შორის, სატესტო რეჟიმში ფუნქციონალის შეფასება და დეტალური დახვეწა.

იხილეთ ჩვენი საიტები
www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

**მონაცემთა გაცვლის
 სააგენტო**

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
 თბილისი 0102, საქართველო
 ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
 ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ